სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ვერიკო ბოკუჩავას* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**22**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**88**	**100**

ტრისტან ბენაშვილი

თარიღი : 07.07.2025წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ტრისტან ზენაშვილი

სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის ვერიკო ბოკუჩავას შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 25 თებერვლის №1/23 განკარგულებით დაწყებული სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატის **ვერიკო ბოკუჩავას** შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

შეფასების დასაბუთება ეფუძნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ამ კანონით დადგენილი წესით კანდიდატების შესახებ მოძიებულ სანდო ინფორმაციასა და 2025 წლის 28 აპრილს კანდიდატთან ვერიკო ბოკუჩავასთან წარმართულ საჯარო მოსმენას.

<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმით**</u> სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის ვერიკო ბოკუჩავას შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**

მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი ბოლო სამი წლის მანძილზე არ ირიცხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში.

რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ. გამოარჩევენ მის პატიოსნებას, კეთილსინდისიერებას, მოვალეობების და პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებას და ა.შ.. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო მოკრძალებული, კორექტული. მისი ქცევა შეეფერებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს.

არსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს სრულად აქვს შეგნებული მისი პირადი და პროფესიული მოვალეობები.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც პრინციპულ, მიუკერძოებელ პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ გამოირჩევა სამართლიანობით და პიროვნული სიმტკიცით.

ვერიკო ბოკუჩავა არ არის/არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი. აქვე აღსანიშნავია, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალების ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. გასაუბრებისას კანდიდატი ცდილობდა ყოველი დასმული საკითხი განეხილა ღიად და ობიექტურად.

გათვალისწინებული არგუმენტების შეფასებით და გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს დამოუკიდებლად ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი თავდაჭერილი და თავაზიანი ადამიანია, მართავს საკუთარ ემოციებს. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა კორექტულობას და კონსტრუქციულობას.

კანდიდატს პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. გარდა ამისა, გამორჩეულად აღნიშნავენ მის თავდაჭერილობას, კორექტულობას და ა.შ.. კანდიდატს აფასებენ, როგორც შრომისმოყვარე პიროვნებას.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ვერიკო ბოკუჩავას მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი. ამასთან, საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატის ვერიკო ბოკუჩავას მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატის პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ხასიათდება მაღალი რეპუტაციითა და ავტორიტეტით.

რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ.

კანდიდატის ვერიკო ბოკუჩავას შესახებ ინტერნეტსივრცეში ინფორმაცია არ იძებნება. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმით**</u> სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის **ვერიკო ბოკუჩავას** (როგორც სამოსამართლო უფლებამოსილების არმქონე კანდიდატის) შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. სამართლის ნორმების ცოდნა - <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას</u>.

ვერიკო ბოკუჩავა არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი. მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 80/18; რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 2. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით: „ვერიკო ბოკუჩავამ წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირების და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. სტაჟირებაში მიიღო უმაღლესი ქულა და სკოლის დამამთავრებელ გამოცდაში - 93 ქულა. სამოქალაქო სამართალი - ვერიკო ბოკუჩავას აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის

გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. ადმინისტრაციული სამართალი - ვერიკო ბოკუჩავა არის ძალიან გაწონასწორებული და გონებაგახსნილი ადამიანი. არის გულწრფელი, მიზანდასახული, საქმისადმი ერთგული და აქვს პასუხისმგებლობის მაღალი შეგრძნება. არის კორექტული, ახალ ინფორმაციას და მასალას ძალიან ადვილად ითვისებს და აანალიზებს. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტით გამოირჩევა. ამასთან, სასურველია მან მეტად ირწმუნოს საკუთარი შესაძლებლობები. სისხლის სამართალი - ვერიკო ბოკუჩავას აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. მას, ასევე აქვს სისხლის სამართალში სათანადო თეორიული ცოდნა, რასაც წარმატებით გამოიყენებს პრაქტიკაში. შეუძლია სწორი არგუმენტების მოძიება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. მის მიერ შესრულებული სამუშაოები თანმიმდევრულადაა ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე, სისხლის სამართალში თეორიული ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავებასა და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე."

საჯარო მოსმენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილი და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ვერიკო ბოკუჩავა კარგად ფლობს საქართველოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს. კანდიდატი არსებითად ადეკვატურად აცნობიერებს განხილული სამართლებრივი ნორმების შინაარსსა და სამართლებრივ დანიშნულებას. საჯარო მოსმენაზე კანდიდატის პასუხები თანმიმდევრული იყო. კანდიდატმა წარმატებით გაართვა თავი სამოქალაქო სამართლებრივ საკითხებზე დასმულ კითხვებს. ამასთან, ირკვევა, რომ ვერიკო ბოკუჩავა ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - <u>აღნიშნული მახასიათებლის შეფასება ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს</u>.

ვერიკო ბოკუჩავას აქვს სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ვერიკო ბოკუჩავა მაღალ დონეზე ფლობს მრავალმხრივ თეორიულ პროფესიულ ცოდნას, აქვს პრაქტიკაში მისი გამოყენების მაღალი დონე. აქვს უნარი, მიიღოს ლოგიკური და დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელიც დაეფუძნება საქმის ყოველმხრივ გამოკვლევას და შესაბამისი სამართლებრივი ნორმების გამოყენებას. თავის გადაწყვეტილებებში არის

სწრაფი და დამაჯერებელი. მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია. ასევე, კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორების ინფორმაციით, ვერიკო ბოკუჩავას აქვს ანალიტიკური აზროვნების და სასამართლო გადაწყვეტილების მაღალი სტანდარტით დასაბუთების უნარი.

მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებულია. კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, ძირითად საკითხზე კონცენტრირება და მისი ანალიზი. გასაუბრების პროცესში გაირკვა, რომ კანდიდატის მოსაზრებები, განსაკუთრებით სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარშემო, არის არგუმენტირებული.

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი - <u>აღნიშნული მახასიათებლის შეფასება ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს</u>.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით: „ვერიკო ბოკუჩავას შესწევს უნარი, საქმის რთული გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება. ასევე წერილობითი დოკუმენტი ზედმიწევნით და შინაარსობრივად სწორად ჩამოაყალიბოს. იგი გადაწყვეტილებების პროექტების წერისას საქმის გარემოებებს აფასებდა სწორად, გამართულად აყალიბებდა აზრს, თუმცა შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები. ვერიკო ბოკუჩავას მიერ შედგენილი გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტით გამოირჩევა. იგი გასაგები ენით გადმოსცემს პრობლემურ საკითხებს და სწორ სამართლებრივ შეფასებას აძლევს მათ. ვერიკო ბოკუჩავას სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას შესწევს უნარი, საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. მეტყველების დროს აზრს გადმოსცემს ნათლად და გარკვევით. შეუძლია საქმის გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მხოლოდ მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება. იგი აზრის გამოხატვის, კამათისა თუ დისკუსიის დროს არის დამაჯერებელი, ეთიკური და არა გადაჭარბებული. მეტყველებს გამართული ქართულით და ყურადღებას ამახვილებს საქმის მასალების მნიშვნელოვან ასპექტებზე."

გამოკითხული რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ ვერიკო ბოკუჩავა აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, როგორც ზეპირი კომუნიკაციისას, ისე გადაწყვეტილების დასაბუთებისას. გამოკითხული რესპოდენტები კომპეტენტურობის კრიტერიუმის მითითებულ მახასიათებელში პოზიტიურად აფასებენ კანდიდატს.

მივიჩნევ, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის დამაჯერებლად, კვალიფიციურად და გასაგებად გადმოცემა. ამასთან, იგი ადეკვატურად გადმოსცემს სათქმელს, როგორც ენობრივად, ისე პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით; კანდიდატი ძირითადად მეტყველებს გარკვევით, საუბრისას საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით

მოსმენის უნარი. ზოგადად, დატოვა მშვიდი და კორექტული ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატი აზრს გადმოსცემს ძირითადად თანმიმდევრულად, ლოგიკურად გამართულად.

4. **პროფესიული თვისებები** - აღნიშნული მახასიათებლის შეფასება ეფუძნება კანდიდატის შესახებ არსებულ ინფორმაციას პრესასა და მედია საშუალებებში, მასთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.

გამოკითხული რეკომენდატორები ვერიკო ბოკუჩავას ახასიათებენ როგორც მაღალი კვალიფიკაციის მქონე, კეთილსინდისიერ და შრომისმოყვარე პიროვნებას. რაც შეეხებათ რესპოდენტებს, კანდიდატს დადებითად ახასიათებენ კომპეტენტურობის კრიტერიუმის აღნიშნული მახასიათებლით.

კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია. კანდიდატის ვერიკო ბოკუჩავას შესახებ ინტერნეტსივრცეში ინფორმაცია არ იძებნება. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით.

კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების და გამოკითხული რეკომენდატორების და რესპოდენტების ინფორმაციის სააფუძველზე მიმაჩნია, რომ ვერიკო ბოკუჩავას კანდიდატურა შესაბამისია მოსამართლის თანამდებობისათვის.

5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებები.

კანდიდატი ვერიკო ბოკუჩავა ღიაა სიახლეების მიმართ, იგი მუდმივად ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქტიურად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში (2019წ. - გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი კომერციულ დავებზე ევროკავშირის სასამართლო მხარდაჭერის პროექტი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ); 2020წ. - მედიაციის სასერთიფიკატო ტრენინგ კურსი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავების ალეტრნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი (NCADAR), საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია; 2022წ. - წუნდებულ პროდუქტზე პასუხისმგებლობა, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) და სხვა). ამასთან, შეძენილ ცოდნას და უნარებს იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

კანდიდატს 2014 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. ვერიკო ბოკუჩავამ იუსტიციის უმაღლესი სკოლაში გაიარა მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი და 2009 წლის 29 მაისს ჩააბარა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდა. კანდიდატმა 2007 წელს ჩააბარა ადვოკატთა ტესტირება, საერთო

სპეციალიცაზიით. იგი არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული. ამასთან, რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატს მუდმივად აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის სურვილი.

6. პროფესიული აქტივობა - აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე მის მიერ ინიციატივის გამოჩენის, იდეებისა და წინადადებების წამოყენების უნარი, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება. აგრეთვე, სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვის უნარი. ასევე, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებები.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა აქტიურად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი, მისთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატს შეუძლია ინიციატივების და იდეების წამოყენება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 88 ქულას.

თარიღი : 07.07.2025წ.

ხელმოწერა: